

**„გასტროენტეროლოგია“**

**1. სპეციალობის დასახელება** - „გასტროენტეროლოგია“.

**2. სპეციალობის შინაარსი:**

„გასტროენტეროლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც ორიენტირებულია მოზრდილებში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, პანკრეასის დაავადებების დიაგნოსტიკასა და არაქირურგიულ მკურნალობაზე.

**3. ზოგადი ცოდნა:**

გასტროენტეროლოგი ვალდებულია კარგად ერკვეოდეს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სიმპტომებსა და მათი მიმდინარეობის თავისებურებებში, ფლობდეს მათი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდებს. ამ მიზნით მან უნდა იცოდეს:

- ა) საჭმლის მომნელებელი სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია;
- ბ) საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიების სიმპტომები;
- გ) ზედა გასტროინტესტინური ტრაქტის დაავადებები;
- დ) ნაწლავის დაავადებები;
- ე) ღვიძლის დაავადებები;
- ვ) პანკრეასის და სანაღვლე ტრაქტის დაავადებები;
- ზ) გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების ფსიქოსოციალური ფაქტორები;
- თ) კვების თავისებურებები საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების დროს;
- ი) პროფესიული და სხვადასხვა გარე გამლიზიანებლით გამოწვეული ღვიძლის, სანაღვლე გზების, პანკრეასის და გასტროინტესტინური ტრაქტის დაზიანება;
- კ) საჭმლის მომნელებელი სისტემის ინფექციური და პარაზიტული დაავადებები;
- ლ) საჭმლის მომნელებელი სისტემის სიმსივნური დაავადებები;
- მ) საჭმლის მომნელებელი სისტემის ვასკულური დაავადებები;
- ნ) სისტემური დაავადებების გასტროინტესტინური გამოვლინებები;
- ო) ქირურგიული გასტროენტეროლოგია, ოპერაციული გასტროინტესტინური ენდოსკოპიის და ლაპაროსკოპიის ჩათვლით (თეორიული ცოდნა);
- პ) საჭმლის მომნელებელი სისტემის და ღვიძლის დაავადებების თავისებურებები ხანდაზმულებში;
- ჟ) ორსულობასთან ასოცირებული დაავადებები;
- რ) კვების რეჟიმი და დიეტა;
- ს) გამოფიტული პაციენტების მართვა, ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები, დანიშნულება და ჩვენება, Anorexia Nervosa, Bulimia Nervosa და სიმსუქნე;
- ტ) მძიმე პროფილური პაციენტების ინტენსიური თერაპია - მართვა.

#### 4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
K 20	ეზოფაგიტი (ქიმიური, პეპტიკური, ბარეტის, საყლაპავის აბსცესი)	მართვა
K 21	გასტროეზოფაგური რეფლუქს დაავადება	მართვა
K 22.0 K 22.1 K 22.2	საყლაპავის კარდიული ნაწილის აქალაზია; საყლაპავის წყლული (ეროზია და წყლული); საყლაპავის ობსტრუქცია (კომპრესია, სტენოზი, სტრიქტურა).	მართვა
K 22.3	საყლაპავის პერფორაცია	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 22.4 K 22.5	საყლაპავის დისკინეზია (სპაზმი); საყლაპავის შეძენილი დივერტიკული.	მართვა
K 22.6	გასტროეზოფაგური გასკდომის სინდრომი სისხლდენით (მელორი-ვეისის სინდრომი)	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 22.8	საყლაპავის გაუვალობა, საყლაპავის კიბო	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 23.0 K 23.1	ტუბერკულოზური ეზოფაგიტი; საყლაპავის გაფართოება შაგასის ავადმყოფობის დროს.	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 25 K 26 K 27 K 28 K 29	კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებები: კუჭის წყლულოვანი დაავადება; თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება; პეპტიკური წყლული; გასტრო-იეიუნური წყლული; გასტრიტი და დუოდენიტი.	მართვა
K 31.0– K 31.6	კუჭის მწვავე გაგანიერება, მოზრდილთა ჰიპერტროფიული პილოროსტენოზი, კუჭის სილის საათისმაგვარი სტრუქტურა და სტენოზი, პილოროსპაზმი, კუჭის დივერტიკული, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ფისტულა	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 35 K 65.0 K 40– K 46	მწვავე აპენდიციტი; მწვავე პერიტონიტი; თიაქარი.	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 50	კრონის დაავადება	მართვა
K 51	წყლულოვანი კოლიტი.	მართვა
K 52	სხვა არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი	მართვა
K 55	ნაწლავის სისხლძარღვოვანი ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 56	პარალიზური გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია თიაქარის გარეშე	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 57	ნაწლავის დივერტიკულური ავადმყოფობა	მართვა
K 58	გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი	მართვა
K 59	ნაწლავის სხვა ფუნქციური მოშლილობები	მართვა

B 37.8	კანდიდური ენტერიტი	დიაგნოსტიკა რეფერალი
E 84.1	ცისტური ფიბროზის ნაწლავური გამოვლინებები	დიაგნოსტიკა რეფერალი
E 88.0	სისხლის პლაზმის ცილების მეტაბოლიზმის დარღვევები, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში (ალფა-ანტიტრიფსინის დეფიციტი)	მართვა
A 00- A09	ნაწლავური ინფექციები	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 60	ანორექტალური მიდამოს პათოლოგია (ბუასილი, უკანა ხვრელის ნაპრალი, პარაპროქტიტი, ფისტულა)	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 63.8	ნაწლავების სხვა დაზუსტებული ავადმყოფობები (მ.შ. დისბაქტერიოზი)	მართვა
K 70	ღვიძლის ალკოჰოლური ავადმყოფობა	მართვა
K 71	ღვიძლის ტოქსიკური ავადმყოფობა	მართვა
K 72	ღვიძლის უკმარისობა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
K 73	ქრონიკული ჰეპატიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
K 74	ღვიძლის ფიბროზი და ციროზი	მართვა
K 75.0	ღვიძლის აბსცესი	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 75.1	კარის ვენის ფლემბიტი	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 75.2	არასპეციფიკური რეაქტიული ჰეპატიტი	მართვა
K 75.3	გრანულომატოზური ჰეპატიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
K 76	ღვიძლის სხვა ავადმყოფობები	მართვა
K 77*	ღვიძლის დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა რეფერალი
B 15	მწვავე ჰეპატიტი A	დიაგნოსტიკა რეფერალი
B16	მწვავე ჰეპატიტი B	დიაგნოსტიკა რეფერალი
B 17	სხვა მწვავე ვირუსული ჰეპატიტები	დიაგნოსტიკა რეფერალი
B 18	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი	მართვა
B 67.5	Echinococcus multilocularis გამოწვეული ღვიძლის ინფექცია	დიაგნოსტიკა რეფერალი
E 80.4– E 80.6	ბილირუბინის მეტაბოლიზმის მოშლა (ჟილბერის სინდრომი, კრიგლერ - ნაიარის სინდრომი, ბილირუბინის მეტაბოლიზმის სხვა დარღვევები)	მართვა
E83.0 E 83.1	ვილსონის დაავადება ჰემოქრომატოზი	მართვა
K 80	ქოლელითიაზი	დიაგნოსტიკა რეფერალი
K82.8	ნაღვლის ბუშტის სხვა დაზუსტებული დაავადებები	მართვა

	(სანაღვლე გზების დისკინეზიური დაავადებები)	
K82.9	ნაღვლის ბუშტის ავადმყოფობა, დაუზუსტებელი	მართვა
K 81.0	მწვავე ქოლევსტიტი	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 81.1	ქრონიკული ქოლევსტიტი	მართვა
K 82.0-82.4	ნაღვლის ბუშტის სხვა ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 83	სანაღვლე გზების სხვა ავადმყოფობები	მართვა
K 85	მწვავე პანკრეატიტი	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 86	პანკრეასის სხვა ავადმყოფობები	მართვა
K 90	აბსორბციის დარღვევა ნაწლავებში	მართვა
K 91	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
K 92	საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა რეფერალი
K 93	საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა დანარჩენ ორგანოთა დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა რეფერალი
C 15-C 26	საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები	დიაგნოსტიკა რეფერალი
D 12	კოლინჯის, სწორი ნაწლავის, ანუსის და ანალური არხის კეთილთვისებიანი სიმსივნე	დიაგნოსტიკა რეფერალი
D 13	საჭმლის მომნელებელი სისტემის კეთილთვისებიანი სიმსივნეები, აპუდ-სისტემის სიმსივნეები (ცოლინგერ-ელისონის სიმსივნე –გასტრინომა, ვიპომა, კარცინოიდი)	დიაგნოსტიკა რეფერალი

## 5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-გასტროენტეროლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) კუჭის სეკრეტორული აქტივობის და ინტრაგასტრალური pH-მეტრის ანალიზი;

ა.ბ) პილორული ჰელიკობაქტერ-ინფექციის დიაგნოსტიკის მეთოდები;

ა.გ) ასციტური სითხის სადიაგნოსტიკო ტესტები;

ა.დ) მალაბსორბციის სინდრომის განმსაზღვრელი ტესტები;

ა.ე) ღვიძლის ბიოქიმიური და იმუნოლოგიური სინჯები, ღვიძლის შუნტირების, მისი რეგენერაციის და სიმსივნური ზრდის სინდრომების ინდიკატორები და ვირუსული ჰეპატიტების მარკერები;

ა.ვ) განავლის ბაქტერიული უმარტივესების კვლევის მონაცემები;

ა.ზ) ფერმენტების - ამილაზა, ლიპაზა, ტრიფსინი, ალტ, ასტ, გამაგლუტამინტრანსფერაზა, ტუტე და მჟავე ფოსფატაზა, ქსოვილოვანი ტრანსგლუტამინაზა და სხვა, ნეიროენდოკრინული ჰორმონების მონაცემები;

ა.თ) ღვიძლის ფიბროზის და ციროზის ელასტოგრაფიის – ფიბროსკანირების მონაცემები;

ა.ი) ჰეპატობილიარული სისტემის სკანირების მონაცემები;

ა.კ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი გამოკვლევების მონაცემები;

ა.ლ) ღვიძლის და სანაღვლე გზების ბიოფსიური კვლევის მონაცემები;

ა.მ) გასტროინტესტინური ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევის მონაცემები;

ა.ნ) ენდოსკოპიული რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის მონაცემები;

ა.ო) პერკუტანული ტრანსჰეპატური ქოლანგიოგრაფიის მონაცემები;

ა.პ) მუცლის ღრუს რენტგენოგრაფიის, ქოლეცისტოგრამის, ულტრაბგერის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისა და სცინტიგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოგრაფიის, ენდოსკოპიური ულტრაბგერის მეთოდის მონაცემები;

ა.ჟ) ენტეროსკოპიის მონაცემები;

ა.რ) რექტორმანოსკოპიის მონაცემები;

ა.ს) სისხლის საერთო ანალიზი;

ა.ტ) შარდის საერთო ანალიზი;

ა.უ) ბიოქიმიური კვლევის მეთოდები;

ა.ფ) სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული გამოკვლევები;

ა.ქ) სისხლის სეროლოგიური გამოკვლევები;

ა.ღ) არტერიული სისხლის გაზების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის და ელექტროლიტური ბალანსის მაჩვენებლები;

ა.ყ) მორფოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგები;

ა.შ) A, B, C, D, E ვირუსული ჰეპატიტების, ღვიძლის აუტოიმუნური დაავადებების, ღვიძლის გენეტიკური და ნივთიერებათა ცვლის მოშლით განპირობებული დაავადებების იმუნოფერმენტული და იმუნოფლორესცენტული ანალიზის, იმუნობლოტინგის მონაცემები;

ა.ჩ) ღვიძლის ანთებითი აქტივობის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტის/ჰეპატოზის ფიბროტისა და ფიბრომაქსის მონაცემები;

ა.ც) სისხლში B, C ჰეპატიტების ვირუსების დნმ/რნმ-ის რაოდენობრივი და თვისობრივი განსაზღვრის მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდის მონაცემები;

ა.ძ) B, C ჰეპატიტების გენოტიპისა და სუბტიპების მონაცემები;

ა.წ) ღვიძლის ფუნქციური ტესტების და სხვა ბიოქიმიური მაჩვენებლების მონაცემები;

ა.ჭ) კუჭის წვენის ლაბორატორიული კვლევის მონაცემები;

ა.ხ) დუოდენური ზონდაჟის მაჩვენებლები;

ა.ჯ) განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევები;

ა.ჰ) ნიტრიტებისა და ნიტრატების შემცველობა სისხლში;

ა.3.1) ღვიძლის დაზიანების სიმძიმის შესაფასებლად რუტინული ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლში ბილირუბინისა და მისი ფრაქციების შემცველობა, სისხლში საერთო ცილისა და მისი ფრაქციები, სისხლში ფიბრინოგენის შემცველობა, პროთრომბინის ინდექსი), დისპროტეინემიული სინჯები (თიმოლის სინჯი, ველტმანის კოაგულაციური ლენტის განსაზღვრა, იოდის სინჯი, სულემის ტიტრის), ამიაკის შემცველობა სისხლში;

ა.3.2) კოაგულაციის შეფასება, ჰემოსტაზიოგრამა ;

ა.3.3) პანკრეასის წვენის ენდოსკოპიური ასპირატის ციტოლოგიური ანალიზის მონაცემები;

ა.3.4) პანკრეასის დაავადებების დროს დიაგნოსტიკური შედეგები – შრატში ამილაზასა და ლიპაზას შემცველობა, შრატის სიმსივნის მარკერები, პანკრეასის სეკრეციული ფუნქციის არაპირდაპირი და პირდაპირი ტესტების მონაცემები.

ბ) ექიმ - გასტროენტეროლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) საყლაპავის მანომეტრია;

ბ.ბ) საყლაპავის და კუჭის PH-მეტრია – მონიტორინგი;

ბ.გ) *Helicobacter pylori*-ს განსაზღვრა სუნთქვითი ტესტით;

ბ.დ) სითხეების და პრეპარატების ი/ვ ტრანსფუზია;

ბ.ე) მუცლის ღრუს ფუნქცია-დრენირება (ასციტური სითხის ევაკუაციის მიზნით).

## **6. სპეციალიზაცია**

მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა.